ტყეში თოფურის ჩირიდი ქონდი

12K 250

287 1 250

287 1 250

დასკანირებულია 16.01.2025 14

„სახალხო ოსეთი“, 1986, 14/V, №92

# ღვაწლმოსილი მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი



პროფესორი აკ. თოფურია შედარებით ახალგაზრდა იყო, როცა 1952 წელს სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის ლიტერატურის კათედრის გამგედ დაიწყო მუშაობა. მაგრამ მას პედაგოგიური, ლიტერატურულ-საზოგადოებრივი და სამეცნიერო საქმიანობის საკმაოდ ნათელი გზა ჰქონდა გამოვლილი. ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკი 1935 წლიდან სისტემატურად აქვეყნებდა ლიტერატურულსა და სხვა ხასიათის წერილებს ქართულ პერიოდულ პრესაში. 30-იანი წლების ლიტერატურულ თაობასთან ერთად მწერლობაში მტკიცედ შემოვიდა, როგორც პოეტი, შემოქმედი და, ბუნებრივია, პოეზიაში თავისი კვალი დატოვა. ამასთან, მის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში იმთავითვე აშკარად ჩანდა მხატვრული ალღო და გემოვნება, ნაწარმოების ღრმა ანალიზისა და ზუსტი ობიექტურობით შეფასების უნარი. იქიდანვე წითელ ზოლად გასდევს მის შრომებს მთავარი პათოსი, რომ მიუდგომლად აწონ-დაწონოს ყოველივე ის, რაც თავმოსაწონია, რასაც ღრმად აქვს გადგმული ფესვები ეროვნულ ნიადაგში, რაც ჭეშმარიტად ქართულია.

ადრეულ პერიოდშივე ჩაენერგა აკ. თოფურიას ახალგაზრდობასთან მუშაობისა და დაულალავი ზრუნვის სიყვარული. მშობლიურ სოფლის ხირიაჩქონის არასრული საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობის დაწყებიდანვე განიმსჭვალა სწავლებისა და აღზრდის აქტუალურ საკითხებზე ფიქრითა და ძიების დაუოკებელი მისწრაფებით. თანდათან აშკარავდებოდა აგრეთვე მისი მოღვაწეობის ფართო დიაპაზონი და მრავალმხრივობა. ამით იყო განპირობებული, რომ აკ. თოფურიას მეცნიერული კვლევა-ძიება თავიდანვე ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა, ერთი მხრით, მან ახლებურად გაიზიარა ჩვენი ლიტერატურის კლასიკური მემკვიდრეობა და თანამედროვე მწერლობის განვითარების მერიდიანები. მეორე მხრით, სათავე დაუდო ქართული ლიტერატურის სწავლების მეცნიერული მეთოდიკის შექმნის ახალ ეტაპს.

ჯერ კიდევ სამამულო ომის წინ სრულიად ახალგაზრდა შემოქმედი, კრიტიკოსი და მკვლევარი ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების ინსპექტორია. შემდეგ — ფოთის საქალაქო გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქციის კულტურისა და განათლების განყოფილების გამგე იყო. მაგრამ მძლავრად მომარჯვებული კალამი და უბის წიგნაკი კარგა ხნით სავსე ჩანთით ატარა და ისე იყენებდა ყოველ ხელსაყრელ წუთს წერისათვის.

აკ. თოფურია დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღეებიდანვე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. მეტად ძნელი და სასახელო საბრძოლო გზა გაიარა სამხედრო სასწავლებლის კურსანტიდან უფროსი ლეიტენანტის წოდებით ასეულის მეთაურამდე. ფაშისტების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში მკერდით იცავდა მშობლიურ მიწა-წყალს როგორც კავკასიის მისადგომებთან, ისე კარპატებსა თუ სხვა ადგილებში. სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენითა და საბრძოლო მედლებით.

ომიდან დაბრუნების შემდეგ ვალმოხდილი მამულიშვილი მთელი არსებით ჩაება სწავლისა და შრომის ფერხულში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1946-1949 წლებში მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციაში ჯერ ლიტერატურულ მუშაკად, შემდეგ განყოფილების გამგედ. ამავე პერიოდში დაამუშავა საკვალიფიკაციო შრომა „ლეო ქიაჩელის შემოქმედების სწავლება საშუალო სკოლაში“. ეს იყო პირველი მეთოდიკური მონოგრაფია ქართველ საბჭოთა მწერალზე. აქედანვე გრძელდება მისი ინტენსიური სამეცნიერო კვლევაძიება ქართული ლიტერატურის სწავლების აქტუალური პრობლემების დამუშავებისა და მეთოდიკის სისტემატური მეცნიერული კურსის შესაქმნელად.

ამ მიმართულებით კიდევ უფრო ნაყოფიერი საქმიანობა გაშალა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკად და ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის სექტორის გამგედ ყოფნის პერიოდში.

და აი, 1952-1958 წლებში იგი სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სათავეში უდგას ქართული ლიტერატურის კათედრას, აღზარდა პედაგოგთა თაობები. შემდეგაც ხშირად ჩამოდიოდა, როგორც სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე, და აქტიურად მონაწილეობდა სპეციალისტთა გამოშვება-დაკვალიანებაში. აქ მთელი სისრულით გამოვლინდა, რომ აკ. თოფურია არის არა მარტო მკვლევარი ქართული ლიტერატურისა, დახელოვნებული ლექტორი და მეთოდისტი, არამედ მეცნიერი ორგანიზატორი და თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე. სამხრეთ ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტად და გამგედ მუშაობის პერიოდში დანერგა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის საუკეთესო ტრადიციები, აღზარდა ქართული ენისა და ლიტერატურის ღრმა ცოდნით შეიარაღებული სპეციალისტები.

აკ. თოფურიას ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოეწყო 1956 წლის 20 აპრილს გალაკტიონ ტაბიძესთან სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტ-ახალგაზრდობისა და ოსი ხალხის ტრიუმფალური საზეიმო შეხვედრა, რომელიც ჭეშმარიტი პოეზიის, ჩვენი კულტურის, ხალხთა ინტერნაციონალური ძმობისა და მეგობრობის სახალხო ზეიმად იქცა. სწორედ აქ უთქვამს გალაკტიონს: „მე ასეთი გულუხვობა და ასეთი წრფელი სიყვარული არსად არ მიგრძვნია, და, აი, თქვენ გაგანდობთ, ჩემო ძვირფასო ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ჩემი დიდი ხნის დამალულ საიდუმლოს, „მე და ღამის“ შექმნის საიდუმლოს“. პოეტის ეს გულწრფელი საუბარი შესანიშნავად აქვს გადმოცემული ბატონ აკაკის თავის საინტერესო წერილში „გ. ტაბიძის ერთი დღე ოსეთში“. მხოლოდ აქ გაუმხელია დიდ პოეტს, თუ როგორ შეუნახავს ქუთაისის ციხიდან რევოლუციონერი მეგობრის გამოხსნის საიდუმლო.

პედაგოგიურ-ლიტერატურულ მოღვაწეობასთან ერთად, აკ. თოფურიას თვალსაჩინო წვლილი შეაქვს მეთოდიკის, როგორც მეცნიერების განვითარება-ჩამოყალიბების საქმეში. ხანგრძლივი ინტენსიური შრომის შედეგი იყო „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის“ ფუძემდებლური სახელმძღვანელო, რომელიც პირველად ორ წიგნად გამოიცა 1957-1958 წლებში და მას შემდეგ, მეხუთე გამოცემის ჩათვლით, მეოთხედი საუკუნის მანძილზე დიდ პრაქტიკულ გამოცდას გაუძლო. ეს წიგნი იყო და არის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა თანამგზავრი, სამაგიდო წიგნი და მუდმივი სახელმძღვანელო. დღემდე უმაღლეს სასწავლებლებში ამ წიგნით თანამიმდევრულად ისწავლება ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის მწყობრი მეცნიერული კურსი.

ამ ღვაწლმოსილ მეცნიერს, მწერალსა და პედაგოგს ნაყოფიერი და თვალსაჩინო შრომა აქვს გაწეული ლიტერატურათმცოდნეობაში. საყოველთაოდ ცნობილია და ყურადღებას იპყრობს მისი ლიტერატურულ-კრიტიკული ხასიათის ისეთი წიგნები, როგორიცაა „წერილები ლიტერატურულ საკითხებზე“, „ლიტერატურული წერილები“, „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება“, „ლეო ქიაჩელი“ (ქართულ და რუსულ ენებზე), „ეტიუდები კრიტიკული ნააზრევიდან“ და სხვ. ერთი ნაწილი ამ წიგნებისა ხომ ცხინვალშია შექმნილი და ცხინვალშივე გამოცემული.

მეცნიერულ-ლიტერატურულსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად მეოთხედ საუკუნეზე მეტია პროფ. აკ. თოფურია ფართო პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კითხულობს ქართული ლიტერატურის ისტორიას, ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კურსებს, ხელმძღვანელობს სპეცკურსებსა და სპეცსემინარებს, აქტიურად მონაწილეობს ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების საქმეში, ხელმძღვანელობს თავისივე ინიციატივით უნივერსიტეტში შექმნილ ქ. თბილისის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მუდმივმოქმედ სემინარს, რომელიც გადაიქცა სკოლებთან მჭიდრო კონტაქტისა და კურსდამთავრებულებთან საქმიანი კავშირის საუკეთესო საშუალებად.

ამ ბოლო ხუთწლედებში კიდევ უფრო გაფართოვდა პროფ. აკ. თოფურიას სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა. უკვე შვიდი წელია იგი ხელმძღვანელობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკების გაერთიანებულ კათედრას, რომელიც მისი თაოსნობით შეიქმნა. ამ ხნის მანძილზე კათედრამ ბევრი რამ გააკეთა საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა მაღალკვალიფიციური კადრების მოსამზადებლად. კიდევ უფრო ორგანიზებული და მიზანმიმართული ხასიათი მიეცა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას. ახლა მთელი ენერგიით შეუდგა ქართული ენისა და ლიტერატურის სანიმუშო სასწავლო კაბინეტის მოწყობას, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.

პროფ. აკ. თოფურია კათედრის მთელ მუშაობას ამჟამად წარმართავს სკოლის რეფორმის ამოცანების რეალიზაციისათვის ბრძოლის ნიშნით, კვლავ დიდი ენერგიითა და გულისხმიერებით ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს.

მისი დიდი დამსახურების, მისივე პიროვნული კრისტალურობისა და გამორჩეული თვისების წყალობაა, რომ ბედად ერგო თანამედროვეთა აღიარება, იგი მთელი სისრულით იმკის იმ კეთილ ნაყოფს, რომელიც ადრე უთესია.

70 წლისთავს პროფესორი აკ. თოფურია ჭაბუკური და უშრეტი შემოქმედებითი ენერგიით შეხვდა. ვუსურვებთ ეს ენერგია დიდხანს გაჰყოლოდეს, რათა კვლავ იმკიდეს მის მრავალმხრივ ნამოღვაწარს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

პროფ. ალ. ღლონტი,
პროფ. ი. მეგრელიძე,
დოც. ო. ქაჯაია,
დოც. ტ. სულაბერიძე.

ლობის წინ

# ულიერი

# რი მებრძოლი

იწყო პერიოდი, რომელსაც დღეს ბედნიერ პერიოდს ვუწოდებთ. ქართულმა ლიტერატურამ შეძლო აეტაცა ის იმპულსები, რომლებსაც პარტია იძლეოდა, განევითარებინა, აქტიურად განეხორციელებინა ისინი და ამით ეჩვენებინა შემოქმედებაზე პარტიული აზრის, კონკრეტული ზემოქმედების მაგალითი. ქართველ ლიტერატორთა ნაწარმოებებმა უეჭველად მოახდინეს გავლენა რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიურ კლიმატზე. მათ სამარცხვინო ბოძზე გააკრეს მომხვეჭელები, მფლანგველები, მექრთამეები, თვალის ამხვევები, ისინი, ვინც ცხოვრობდა და აპირებს იცხოვროს არა საბჭოთა მორალის ნორმებით.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ვთქვათ, რომ ჭეშმარიტად მაღალი მოქალაქეობრივი ჟღერადობის ნაწარმოებებთან ერთად გაჩნდა აქტუალური თემატიკის ელემენტარული „დამუშავება". ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს ყრილობაზე მათ შესახებ სათანადო სიმკაცრით ითქმება. ბევრ რამეს უკვე დაეტყო კონიუნქტურულობა და საქმოსნობა, რაც დაგმო სკკპ XXVII ყრილობამ, რომელმაც მოგვიწოდა ვეძებოთ „...ცხოვრებისეული სიმართლე, რომელიც მუდამ იყო ნამდვილი ხელოვნების არსი". და ამ ძიებაში მთავარი უნდა გახდეს დადებითი გმირის აღმოჩენის პროცესი — გმირისა, რომელსაც გაჰყვებიან, ენდობიან ადამიანები, აღეძვრებათ სურვილი მიბაძონ მას. ეს განსაკუთრებით სჭირდება ახალგაზრდობას, ჩვენს მომავალს.

როცა ვლაპარაკობთ ქართველ ლიტერატორთა წვლილზე საზოგადოების სულიერ საგანძურში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხში ცალკეული ახალგაზრდა ავტორების პოზიციებს.

არის მთელი რიგი პრობლემებისა, რომლებიც ჩვენს, როგორც ახალგაზრდულ, ისე „უფროსთა" პროზაში ჯერჯერობით მკაფიოდ ვერ აისახება. ისინი ეხება ახალგაზრდობის ცხოვრებას. ახალგაზრდობას სჭირდება მაგალითი — კარგი, ჭკუის სასწავლი, რეალური სიტუაციებიდან, ცხოვრების სიმართლიდან გამომდინარე.

გმირი, რომელიც იბრძვის საზოგადოების ნათელი, მაღალი იდეალებისათვის, რა სიტუაციაშიც უნდა მოხვდეს, აღფრთოვანებას უნდა იწვევდეს და არა სიბრალულს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ვერავითარი დადგენილებით, მითითებით ვერ შეიქმნება ჭეშმარიტად მაღალმხატვრული ნაწარმოები, მაგრამ თუ ავტორი მთელი არსებით აღიქვამს ასეთ დადგენილებას, — ჩასწვდება მის არსს, ეს ლიტერატურას უეჭველ სარგებლობას მოუტანს. სკკპ XXVII ყრილობის მოთხოვნების სიმაღლიდან უნდა დააკვირდეს ჩვენი ლიტერატურა დღევანდელ სინამდვილეს, მხატვრული სიმართლით ასახოს იგი. მწერალი ხომ ცხოვრების ილუსტრატორი კი არა, შემოქმედია, და ეს მას ბევრს ავალებს. მე არა ვარ ეგრეთ წოდებული „დარგობრივი" ლიტერატურის მომხრე, მაგრამ ელემენტარული სტატისტიკა ამტკიცებს, რომ საქართველოს, ისევე როგორც, სხვათა შორის, ქვეყნის, მოსახლეობის ნახევარზე მეტს მუშები და სოფლის მშრომელები შეადგენენ. ჩვენს ლიტერატურაში კი მათი ცხოვრება, მათი საქმეები, შრომითი სადაგი დღეები, პრობლემები სრულად არ აისახება. სწორედ მათ ცხოვრებაში, მათ მაგალითზე უნდა ვეძებოთ ის დადებითი, რასაც ირწმუნებს და მიბაძავს ახალგაზრდობა.

ლიტერატურის განმწმენდი როლის შესახებ საუბარი სრული არ იქნება, თუ არ ვიტყვით, რომ თავად ბრძოლა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომელსაც ასე თანამიმდევრულად ეწევა საქართველოს პარტიული ორგანიზაცია, ადვილი როდი გამოდგა. იგი დღესაც აქტუალურია, და ჩვენი ლიტერატურა ვერ დასჯერდება მიღწეულს.

ის, რომ ბოლოხანს შემაშფოთებელი ხმები ისმის დღევანდელი ქართული ლიტერატურის, 80-იანი წლების ლიტერატურის მდგომარეობის შესახებ, ბევრად კრიტიკის ბრალია. იწერება ვრცელი სტატიები იმის შესახებ, გვაქვს თუ არა ლიტერატურული კრიტიკა, რა ნაკლოვანებები ახასიათებს მას, თვით კრიტიკული სტატიები კი, რომლებიც პრინციპულად, ღრმად შეაფასებენ ლიტერატურულ ნაწარმოებს, არა გვაქვს. ხშირად კრიტიკული გამოსვლები სარკესავით ასახავს რესპუბლიკის მწერალთა კავშირში შექმნილ ატმოსფეროსაც — მწერალთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა გათიშულობას, ჯგუფობანას. ასეთი მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენს ლიტერატურის განვითარებაზე, აშორებს მის ყურადღებას დიდი სოციალური პრობლემების გადაჭრას. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ასევე გახდება მსჯელობის საგანი მომავალ ყრილობაზე. უნდა გადავწყვიტოთ დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც დგას ლიტერატურის — ადამიანთა სულიერი და ზნეობრივი სრულყოფის, კომუნისტური მრწამსისადმი, საბჭოთის დიადი იდეალებისადმი მათი ერთგულების აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტის წინაშე. ეს შთამაგონებელი ამოცანებია.

(საქინფორმი).

# ფაქტები, მოვლენები

## ...აფიჩის ინტერვიუ

ზე აშკარად ბურჟუაზიული და ანტიკომუნისტური პოზიციებიდან, ცდილობენ სადავო გახადონ ჩვენი რევოლუციის ღირებულებანი.

იუგოსლავიის მტრები იმის იმედით არიან, რომ გააფართოვებენ რა თავიანთ პროპაგანდისტულ გავლენას, ხალხს ჩაუნერგავენ შეგნებაში მსხვილბურჟუაზიული ნაციონალიზმის იდეებს. ამას, აღნიშნა საკავშირო მდივანმა, შედეგად მოსდევს სხვადასხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების ზრდა.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის უშიშროებას ვერ განვიხილავთ იზოლირებულად იმ მოვლენებისაგან, რომლებიც ქვეყნის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარეობს. სახელმწიფოს ყველაზე საშიში მოწინააღმდეგენი არიან ნაციონალისტები, რომლებიც ანტიიუგოსლავიური და ანტისოციალისტური პოზიციებიდან გამოდიან. ამ უკიდურესად რეაქციული ძალების საქმიანობას ახასიათებს სულ უფრო მეტი აგრესიულობა, მისწრაფება — შეექმნან იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ლეგალური პოზიცია. ეს სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, ვინაიდან ანტისოციალისტური ელემენტები ცდილობენ დაამკვიდრონ თავიანთი იდეები ინტელიგენციასა და ახალგაზრდობაში. დაამყარონ ურთიერთობა საზღვარგარეთელ თანამზრახველებთან. ეს მტრული წრეები, მათ შორის ანტიიუგოსლავიური ემიგრაცია ფართოდ მიმართავენ ტერორიზმს. იუგოსლავია, დასძინა დ. ჩულაფიჩმა, თანამიმდევრულად იბრძვის და კვლავაც იბრძოლებს მისი ყოველი ფორმის წინააღმდეგ.

## კონფლიქტი



გის ჯარების თავმოყრის ადგილები, მოუსპეს მას დაახლოებით ორი ბატალიონი.

**ნიქოზია.** (საკდესი). ირანის საინფორმაციო სააგენტო იტყობინება, რომ განვლილ დღე-ღამეში საჰაერო თავდაცვის ძალებმა სპარსეთის ყურის თავზე ჩამოაგდეს ერაყის თვითმფრინავი.

## მილიციელთა წვრთნა ნიკარაგუაში

**მანაგუა.** საკდესის კორ. ს. გორბუნოვი გვატყობინებს: შაშხანების ზალპები და ავტომატების სროლის ხმა, რომელიც მანაგუელებს მოესმათ ქალაქის გარეუბნებიდან, დედაქალაქის მცხოვრებნი არ შეუშფოთებია. ამჯერად ნიკარაგუელებმა, რომლებიც უკვე რამდენიმე წელია ცხოვრობენ ამერიკის შეერთებული შტატების დაქირავებულთა მიერ ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ გაჩაღებული დანაშაულებრივი აგრესიის პირობებში, იცოდნენ რომ თავისიანები ისროდნენ.

ნიკარაგუის დედაქალაქის ათასობით მუშა-მოსამსახურე მონაწილეობდა სანდინისტური სახალხო მილიციის წვრთნაში, რომელიც გასულ შაბათ-კვირას გაიმართა. მილიციელებმა გადალახეს სალაშქრო ზურგჩანთები და მოაწყვეს მარშ-გარბენი, რომელიც სროლით დამთავრდა. მებრძოლებს ასწავლიდნენ როგორც ნიკარაგუის ჯარების შეიარაღებაში შემავალი, ისე ნადავლი ამერიკული წარმოების იარაღის ხმარებას.

ნიკარაგუელი ხალხი ემზადება უკუაგდოს ამერიკის შეერთებული შტატების უშუალო შეიარაღებული ინტერვენცია, რომლის რეალური საფრთხე შეექმნა რესპუბლიკას, განაცხადა ერთ-ერთ სასროლ მოედანზე ჟურნალისტებთან საუბრის დროს კომანდანტე კარლ ბრუნესმა, რომელიც ხელმძღვანელობდა მილიციელთა მეცადინეობას.

სამშობლოს მომავალ დამცველთა პირველ რიგებში ჩადგა მუშა-ახალგაზრდობა, რომელმაც ცხადყო საბრძოლო მომზადების კარგი დონე.

## აპატიმრებენ მშვიდობიან...